საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №203
2024 წლის 13 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში (ვებგვერდი, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017230) შეტანილ იქნას ცვლილება და „საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №20):

1. პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ დანართის მიზნებისათვის, ტრანზიტის პროცედურის მფლობელი არის პირი, რომელიც წარადგენს „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ შევსებულ ტრანზიტის დეკლარაციას, ან პირი, რომლის დავალებითაც არის წარდგენილი ეს დეკლარაცია.“.

2. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ტრანზიტის პროცედურის მფლობელი უფლებამოსილია, „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ შეავსოს ტრანზიტის საბაჟო დეკლარაცია, თუ დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით და აქვს დაშვება „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“.“.

3. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 პუნქტი:

„11^1. გარანტიის საბაჟო ორგანო გასცემს საერთო გარანტიის სერტიფიკატს (დანართი №20-I-01) ან/და გარანტიის წარდგენისაგან გათავისუფლების სერტიფიკატს (დანართი №20-I-02), რომელთა მოქმედების ვადა არ აღემატება ხუთ წელს, თუმცა, გარანტიის საბაჟო ორგანოს მიერ ეს ვადა შეიძლება გაგრძელებულ იქნეს ერთხელ, არაუმეტეს ხუთი წლისა.“.

4. მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №20-I-01 (საერთო გარანტიის სერტიფიკატი) და დანართი №20-I-02 (გარანტიის წარდგენისაგან გათავისუფლების სერტიფიკატი).

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**